

**სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტოს 01/08/2023 წლის N 21/6224 წერილში მითითებულ
საკითხებზე რეაგირების ცხრილი**

სააგენტოს კომენტარი	რეაგირება
<p>გზშ-ის ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტაციაში (ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმები) მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროების პარამეტრები წარმოდგენილია არასწორად, კერძოდ: არაორგანიზებული გაფრქვევის წყაროების პარამეტრები, დიამეტრი, ჰაერის ნაკადის სიჩქარე მ/წმ და მოცულობითი სიჩქარე მ³/წმ, რაც ასევე ასახულია გამოყენებულ ავტომატიზებულ კომპიუტერული პროგრამა „ეკოლოგში“. აღნიშნული პარამეტრების არასწორად გამოყენების შემთხვევაში წარმოდგენილი შედეგები პროპორციულად ასახავს საბოლოო მონაცემების სისწორეს. შესაბამისად ზემოაღნიშნული საკითხები საჭიროებს კორექტირებას.</p>	<p>მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროების პარამეტრები გზშ-ის ანგარიშში არ არის მითითებული, რაც შეეხება ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტს, შენიშვნა გათვალისწინებულია და ასახული იქნა განახლებულ ზდგ ნორმების ანგარიშში (იხ. შესაბამისი დანართი - გვ. 22)</p>
<p>წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და საპროექტო ტერიტორიის დათვალიერების შედეგად დგინდება, რომ საწარმო გამოიყენებს ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების არსებულ/ძველ მილს. შესაბამისად, წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია აღნიშნული მილის ჰერმეტიულობის შესახებ.</p>	<p>შენიშვნა გათვალისწინებულია - შპს „პლასტიკ ადიოსი“ უზრუნველყოფს ემისიათა გაფრქვევის „მოდველებული“ მილის მოდერნიზაციას, მათ შორის: მილზე არსებული მცირე ღრმულების დაფარვას; დაჟანგვის/კოროზიის საწინააღმდეგო საღებავით მისლის შეღებვას და საჭიროებისამებრ ჰერმეტიული მასალით შეფუთვას.</p> <p>შპს „პლასტიკ ადიოსი“ პერმანენტულად განახორციელებს გაფრქვევის მილის ტექნიკური გამართულობის/მდგომარეობის კონტროლს, ხოლო რაიმე ტიპის შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მოხდება მისი აღმოფხვრა.</p>